6 2 X D
899.962.1(05)
ე-93

ფასი 100 მ.

№ 60

1921 წ.
თებერვლის 13

მეზობლების მოლოცვა



რუსეთი. გულწრფელად გილოცავ დამოუკიდებლობის ტნობას. ნიშნად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთი თავდადებით იცავს მტერე ერთა ეშინსიპაციას, მომორთმევია ეს მტერე საჩუქარი. დაიხურე და ატარე სადღეგრძელოთ.

ოსმალეთი. ძვირფასო მეზობელო! მომილოცავს შენი დამოუკიდებლობის ადიარება.. ოსმალეთი მუდამ იმის მოსარულია იყო, რომ თავის გვერდით თავისუფალი საქართველო ენახა... ამ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა რუსეთისაგან მორთმეული საჩუქარი არ გამოგვეს, გთხოვო მოიხმარო ეს ჩემი ფეშქეში.

F 5781

ქათამი

იმ დროს, როცა ის შავი დედალი ბუდიდან გადმოფრინდა და საშინელი კაკანი მოართო, მე ერთ-ერთ ჩემს მშვენიერ ფელეტონთაგანს ვწერდი.

ნერვები ერთობ დაბიანებული მაქვს; ველარ გაუძელ გულის დამალონებელ კაკანს, აივანზე გამოვარდი, შევუქშიე და ქათამი ბაღში გადავაფრინე.

ვერ მოვასწარ ოთახში შემობრუნება და კალმის ხელში აღება, რომ გათავხვდებული დედალი მოაჯირს შემოაფრინდა და ძველის ენერგიით განაგრძო:

— კა-კა-კა-კა კა-კა-კა-კა...

სისხლი ყელში მომადგა. ვიცი, ერთი კვერცხი მოაგდო და იმისთვის გაუდის ეს დაუსრულებელი კაკანი, მაგრამ მე რას მერჩის, წავიდეს ბაღში რამდენიც უნდა იკაკანოს. ამას ახლა ვწერ ასე დამშვიდებულათ, თორემ მაშინ შმაგივით გამოვიჭერ აივანზე, მუშტი მოვუქნიე და ბედი მისი რომ ეზოში გადაფრენა მოასწრო. ეზოში კი გაასკეცებული ენერგიით გადიკასკასა:

— კა-კა-კა-კა-კა-კა-კა...

— დასწყეველოს ღმერთმა! ამ ოხერმა რაღა მაინცა და მაინც ეს ჩვენი რედაქციის აივანი ამოირჩია.

ჩემი გულისწყრომის საპასუხოდ შავმა დედალმა კვლავ გულიანად გადიკასკასა.

— კა-კა-კა-კა-კა-კა-კა!..

— თითქო დამცინის ეგ ვერანა!

— კა-კა-კა-კა-კააა! ვითომ და რატომაც არაო?!.

მე გავშეშდი! ენა ჩამივარდა! ღმერთო მალალო! ქათამი ლაპარაკობს! ვის მოსწრია, სად გაგონილა თქვენი პირიმეთ!

— კა-კა-კა-კა-კა! ვითომ რატომ არ უნდა ვლაპარაკობდეთ, რატომ? კა-კა-კა-კა-კა!

— ქათმის ლაპარაკი, სანაძლოს დავდებ, ჯერ არავის გაუგონია. ქათმებზე კი ბევრს ლაპარაკობენ... წარმოიდგინე, დამფუძნებელ კრებაშიაც ფედერალისტების ლიდერმა და ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, გრიგოლ რცხილაძემ, მთელი საათი ილაპარაკა ერთ ქათამზე... მაგრამ ქათამი რომ ლაპარაკობდეს, პირველი შემთხვევაა!

— შეიძლება თქვენთვის პირველი იყოს, მაგრამ თუ ჩემს ამხანაგებს ჰკითხავ, პირველი არ იქნება. ჩვენ მთელი დღე ვლაპარაკობთ და ვმუსაიფობთ ერთმანეთში.

— დიახ, დიახ!

ჩაფრია ლაპარაკში თეთრი დედალი, რომელიც ამდენხანს ხმას არ იღებდა.

— მერმე რისთვის ამდროამდე არ ლაპარაკობდით?

— ვისთან?

— აი ჩვენთან. მე მთელი დღე აქ ვზივარ რედაქციაში...

— კა-კა-კა-კა... გადიკასკასა შავმა დედალმა, ისეთის ხალისით, რომ მისი სიცილის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო.

— რა ამბავია, რატომ კისკასობთ ასე გულიანათ? შევეკითხე მე ცოტა შეურაცხყოფილი კილოთი.

— ვის უნდა ველაპარაკოთ? თქვენ??? კა-კა-კა-კა-კა კა!

— დიახ ჩვენ. ვითომ რაო? იქნებ არ კადრულობთ ჩვენთან მუსაიფს?!

— კა-კა-კა-კა-კა-კა!.. გადიკასკასა თეთრმა დედალმა გულიანათ.—ახირებული თავმოყვარე ხალხი კი ხართ ეს რედაქტორები.

— როგორ-თუ? რას ამბობ, ქათამო?

— კა-კა-კა-კა-კა... აი ახლაც უკვე აღელდით! ნუთუ ამდენ ხანს ვერ გაიგეთ, ბატონებო, რომ ჩვენი სწორები არა ხართ და ჩვენთან თავს ვერ მოხვალთ. რა მოხელენი ბრძანდებით? ჰქმნით რასმე ამ კრიზისის დროს?

— დიახაც ვქმნით. წერილებსა ვწერთ... ლექსებსა ვთხზავთ... ჟურნალსა ვცემთ...

— კა-კა-კა-კა-კა-კა!.. გადაბრუნდა სიცილით შავი დედალი!—ერთი ამას დამიხედე, დაო, ლექსებსა ვწერთ, ჟურნალსა ვცემთო... გესმის, დაო, გესმის?!—კა-კა-კა-კა-კა...

— ნუ გაუმტყუნებ ჩემო, უპასუხა თეთრმა დედალმა—შეუგნებელია, რავუყოთ... და განაგრძო:

— რა ღირს თქვენი ჟურნალი?

— ათი თუმანი.—დიდის რიხით და თავმოწონებით მივუგე მე.

— რამდენი კაცი მუშაობთ ზედ?

— ექვსი.

— რამდენი ხანი უნდებით?

— ექვსი დღე.

— კა-კა-კა-კა-კა... ჩაიკაკანა შავმა დედალმა და მედიდურათ გადმომხედა. შემდეგ განაგრძო:

— დროა, ჩემო კარგო, მაგ მედიდურობას თავი დაანებო. ექვსი კაცი ექვს დღეს მუშაობთ და ასი მანეთის საფასურს ძლივ-ძლიობით აკეთებთ. ჩვენ ორნი, მე და ეს ჩემი მეგობარი, ჩავჯდებით ბუდეში და ხუთმეტი წუთის შემდეგ ათი თუმნის საღირალს გავამზადებთ. ორი კვერცხი და თქვენი ჟურნალი თანაბარი ღირს.

ჩემი თავმოყვარეობა პირდაპირ განადგურდა. სახე გამოლურჯდა, მუხლებმა კანკალი დამიწყო, თვალები ავნთნენ. „ნუთუ მე, თაგუნა, შექანჯალებული, დონი, სლუჩაინი, ნადარი და სხვ. კვირეში ორი ქათმის ბადალს ვერ ვმუშაობთ? ეფიქროდი გუნებაში და ის იყო ქათმებისთვის ხელი უნდა მეტაფა მოსაკლავად, რომ ეზოში სამსონ

ბრიყვაძე შემოვიდა. მომიახლოვდა, ხელი ჩამოგართვა და მკითხა:

— რა ღმერთი გიწყრებათ კაცო ამ ჟურნალს რომ ასე საარაკოთ ეძვირებთ?

ფიალა მოთმინებისა და შეურაცხყოფისა გაივსო. მოულოდნელათ და მძლავრათ მოქნეული ჩემი მუშტი შიგ მარცხენა თვალის ბუდეში მოხვდა თავხედ სტუმარს...

... და გამომეღვიძა.

ეშმაკი

წერილი სატრფოსთან

ჩემო მაცოცხლებელო და ჩემო მკვლელო!

შენმა უკანასკნელმა წერილმა, ცოტა არ იყოს, დამაღონა:

ქალო, სადაური მილიონების პატრონი მე მნახე, რომ იწერები,—„ფეხსაცმელების ქუსლები გამიცვთა და დამიკერებინეო.“

რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, რომ ჩემს სატრფოს **ნება არა აქვს** ფეხსაცმელების გაცვეთისა.

ჩვენს დროში ფეხსაცმელებს მხოლოდ მილიონერები სცვეთენ. შენ კი, ჩემო გვრიტო, გირჩევ, ჩემს მაგალითს მიჰბაძო და ეხლავე შეუდგე დაუცხრომელ ვარჯიშობას, რათა ორ-სამ თვეში ისე გაიწვრთნა, რომ თავისუფლად შეგეძლოს ხელებზე სიარული, ფეხ-აშვერით, თორემ სად ჩვენ და სად ფეხსაცმელების შესაკეთებელი კაპიტალი.

მე, ჩემდა თავად, საკმაოდ თვალსაჩინო შედეგს მივაღწიე ამ მხრივ: სწორ ადგილზე სრულიად თავისუფლად დავდივარ ხოლმე ხელებით, ეს კია, კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა მიჭირს ჯერ-ჯერობით...

ეს არის ერთად-ერთი საშუალება ფეხსაცმელების კრიზისის თავიდან ასაცილებლად, და მე იმედი მაქვს,—შენ რომ ჭკვიანი და გამგონე მყევხარ,—ეხლავე შეუდგები ჩემი დარიგების ასრულებას...

ეს—ფეხსაცმელების შესახებ.

კიდევ უფრო დამაღონა შენი წერილის იმ ადგილმა, სადაც კაბის შესახებ იწერები.

მაგრამ რა უნდა გისაყვედურო შენ, ჩემო 19 წლის ნუკრო, როდესაც ჩემი მეგობარი და შენი კარგი ნაცნობი, 15 წლის შალიკო უბონოშვილი, არა ნაკლებ ფუქსავატობას იჩენს ამ საკითხში.

არ ვიცი, ღმერთმანი, რა სახელი ვუწოდო მას: რომანტიკოსი, იდეალისტი, უტოპისტი თუ რა?..

წარმოიდგინე, ამ გაუსწორებელ მეოცნებე ვაჟს შეურყეველად სწამს, რომ, აღრე იქნება თუ გვიან, ახალ პერანგის ამხანაგს შეაკერინებს.

რამდენი ვეჩიჩინე, რამდენი ველაპარაკე:

— ბიჭო, დაანებე თავი მაგ უქმსა და მავნებელ ილუზიებს: რა შენი საქმეა, ამ-სიმსხო საქმეებისთვის ფიქრი და ოცნება! ხოშტარია ხომ არა ხარ, ასეთი უცნაური გეგმის ასრულება შეიძლო ერთბაშათ! ამხანაგო, დაგლუპავს პერანგის ამხანაგი მეოქი!

არ იქმნა და არა: ვერ მოვაშლევინე! და მერე, არ იტყვი რა ყოფაშია დღეს ჩვენი შალიკო?

ეხლავე მოგახსენებ:

ათი თვე შესრულდა, რაც ამ გეგმის განხორციელებას შეუდგა და ამ ათი თვის განმავლობაში თითო თვეში თავისი ჯამაგირის 10%-ს სდებს მუდამ ყოვლად სინდისიერათ.

მაგრამ რამდენი თვე გადის, პერანგის ამხანაგის ფასი იმდენ 10%-ს მატულობს.

შენ, ჩემო ცუღლუტო თრითინა, ჰუმორის გრძნობა არ გაკლია და უჩემოდაც კარგათ წარმოიდგენ იმ ყოვლად სასაცილოსა და უმედოდ დოღს, რომელიც შალიკოს გაუმართავს პერანგის ამხანაგთან:

მიალაჯებს პერანგის ამხანაგი თავის ას პროცენტიან ტოტებს და უკან მიჩანჩალებს ჩვენი შალიკო თავისი ათ პროცენტიანი ყავარჯენით!

აი მაგალითი შენთვის, ჩემო კარგო! მაგალითი, რომელსაც არ უნდა მიჰბაძო და ეხლავე ჩაიკლა შენს პაწია ტვინუკაში ტანისამოსის თუ საცვლებისთვის უნიადაგო ოცნებობა!

მილოს ვენერა შენზე უშნო ქალი არ ყოფილა, მაგრამ აბა როდის იცვამდა კაბა-კუბებს?

შენც, გირჩევნია, შალიკო უბონოშვილის მაგალითს გვერდი აუქციო და ვენერას ორიენტაცია დაიჭირო.

მით უმეტეს, რომ, როგორც [illegible] ავს, შენ ტანის გამომეტყველება (განსაკუთ[illegible] ურგის ზოგი ადგილებისა) ბევრათ ეს[illegible] აპრესიული გაქვს, ვიდრე სახისა.

შენი ცოცო.

დედანთან სწორეა

თაგუნა.

მკვდარსაც კი გაეცინება.

დამფუძნებელი კრებისა მოსდა ეს კულუარებში...
სადა ისრჩვების ქართველი სიტუვათა ნიაღვარებში,
სხვათა და სხვათა პარტიათ და ფრაქციათა ჯარებში
ლიდერთ და მოლიდეროთა ადამიანთა გვარებში.

ოდეს მზე თავისუფლების საშშობლოს მიებრწყინება,
მოურავ—პროფესორისა უფალმან ომი ინება.
ერთმანეთს შემოუტიეს... ვნახოთ ვინ დაეწინება!..
ბენიამ მუშტი გასტეორცნა, შალვამ კი... დედის გინება.

კაცია,—სიტუვას პატივდებს! კაცია,—ისვრის ქარადა!
კაცია,—დინჯათ ბაასობს! კაცია,—როშავს ჩქარადა.
კაცია,—სხვათა გაკილვა უჩნს ვითა სამწუსარადა,
კაცია,—ცილი დაგწამოს, გულს ეტკების გასახარადა.

აწ პროფესორი ვით ვაქო, სიტუვისა ქარად მთესავი.
ჭორთა და ცილთა ტრიბუნით სელგაშლით გადმომკვესავი,
ბრმნათ ამაგვარი ვერა ვსცნა, მე ვერა კაცთ ნათესავი.
თუცალა გული მეტკინა, მუნმცა ვიხილე მკვნესავი.

და ოდეს მუშტი შესტეორცნა მას ქალაქისა თავამან,
ლანძღვა უშვერი დაიწეო, ვეჭვ აწმცა გაათავა მან...
მეისვე შეჭუარა ლაშქარნი, მან მსეთა უნასავამან,
ვერ დაეწენაროს შმაგები, ვერცა ზამთრისა ჭავამან.

დაჭკრეს ბუკი და ნაღარა, ჯარი სდგა სტუდენტებისა,
„ჰერეგორტი“ მოუნდათ, ბენიის ჩამოგდებისა,
ლაშქარს უხმობენ „კულტურულს“ (მამა ნუ წამიწედებისა)
ვინა სჯვრეტს, ქუჩად მავალი, ეოვლი სიცილით წედებისა.

—„ძირს ბენიაო!“ ჰეიგიან ფედერალისტთა გმირები...
სალსი დაედვა მრავალი ეიგილით განაკვირები,
მილიციელნი არ სჩანან მათ წინა ანახირები.
—დე გაირონ, ამა გზით კვლამც ელიან სხვა ნახირები...

აქა შშვიდობა! იმა დღეს ვნახეთ მუნ სასწაულები.
და გვედრი ეოვლთა მკითხველთა ირწმუნოთ აქა თქმულები,
მისთა მოწამეს ჯვრეტისა გადაუბრუნდათ გულები,
მჯილთა იცემდენ მკერდშიგან კრთომილნი, დადაგულები.

მკვდარი მოჭქონდათ იმა დროს კუბოში ჩანასვენები,
კაცთაგვ მხარზე ეზიდათ, შიგან არ ებათ ცხენები.
მწარე მოთქმითა სტირროდენ იმისთა ღვაწლთა მხსენები,
ჰირსა ისოკდენ რა გვარად, ვერა გამოსთქვამს ენები.



ეივილმან იმა ლაშქართა მკვდარსა აღუსვნა სმინება,
თვალნი ასილნა, კვლამცალა ზე წამოჯდომა ინება,
სჯვრეტს ამა სასაცილოთა და მასცა გაეცინება,
იცინის, ვიდრე სიცილით კვალად არ მიეძინება.

ვინ მკვდარს აცინებს, მოძმენო, ამა დარ სანახაობით.
კვლავ იამაუებს მამული იმა მოზარდი ცაობით.
ფედერალისტი მად თქმულა გონიერულ აზრთა ზღვაობით,
არწივი ვითმცა ედარის, ეგვაგი იცნობის ეგვაობით.

მეფე გოსანი

რგანელსა და საგანელს
გუშინ გალაქტიონი
მეფეთ აურჩევიათ,—
გვატყობინებს **ლიონი.**

სად მომხდარა ეს საქმე,
რომელ კუთხე-მხარეში,—
ამას, ალბათ, გვაცნობებს
ლონდონი, ან **პარიჟი.**

ქუჩებზე კი ამბობენ:
„ეს მარანმა იცისო,
სად ხელადის მიჯნური
სიყვარულით იწვისო.“

მაგრამ „ბარბის“ ფურცლებზე
სულ სხვა გვარათ სწერია,
და მე ვფიქრობ, ეს ცნობა
უფრო დასაჯერია.

ან კი რა საჭიროა
მეტი კომენტარია:
საქართველო პარიზზე
განა უფრო მდარეა?

ჰოდა, იმას თუ კი ჰყავს
თვისი მეფე მგოსანი,—
დე ჩვენც გვყავდეს ამიერ
ერთი გვირგვინოსანი!

ხუმარა

27 საათი.

ნაფიქრია ბათომის სახ. გვ. შტაბის ცხოვრებიდან.

სწორედ შუალამის 12 საათი იქნებოდა, როცა ტელეფონის რეკა მომესმა. წამოვხტი ზეზე ახლათ დაძინებული და ველი ღოროტოტოს.

— რა ამბავია, ბატონო, ცეცხლი ხომ არ გაჩენილა. დაურეკეთ ცეცხლის მქრობელ რაზმს.

— ცეცხლი კი არა, რედაქცია მინდა.

— კი, ბატონო, რედაქცია გახლავთ. რაშია საქმე?

— სახალხო გვარდიის შტაბიდან გელაპარაკებით. მე კუნჭულია ვარ, დათიკო. მობძანდით საჩქაროთ და განცხადების ფასი წაიღეთ.

ცოტა არ იყოს გამიკვირდა კიღეც: კაცო, ამ შუალამეში რას აკეთებს ეს კაცი შტაბში?! თუ ეძინა, დაებოდა და ძილში დამიძახა... კი, მაგრამ დათიკო შტაბში რომ არ ცხოვრობს?! უ! ნამდვილათ გიორგი ამაღლობელია ამალამ მორიგე და ის ყალთაბანდობს—ვიფიქრე. მაგრამ გოგიამ რა ი ცის მე განცხადების ფული თუ მერგება შტაბიდან, ეჰ! რაც იქნება იქნება. წავალ და გავიგებ რაშია საქმე.

ჩავიცვი პალტო და გავსწიე შტაბში.

წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება!

არა თუ მარტო დათიკო კუნჭულია, ვიკ. ჭედია, ამბროსი დუმბაძე, ის. ჭავჭანიძე, მშვენიერი ვენერა, ერთი სიტყვით ყველა მოსამსახურენი სხედან სტოლებთან და ისეთი დაჟინებით მუშაობენ, რომ ქალაქის გამგეობის მოსამსახურეები, რომ ისე გულდასმით მუშაობდენ, ამდენხანს ქალაქში სოციალიზმი დამყარდებოდა.

— კაცო, რამდენ საათს მუშაობთ?

— 27, ძმაო 27 საათს!—ისეთი ტრაღიკული ხმით მითხრა ისაკი ჭავჭანიძემ, რომ შევშინდი და ცოტა უკან დავიხიე. რა ვიცი 24 საათი ქაღალდებს სწერს და კითხულობს, თავი მობეზრებული აქვს. მოდი ჩემზე ამოიყარა მთელი ჯავრი. შევედი ისევ დათ. კუნჭულიასთან, ავიღე ფული და წასვლას ვაპირებდი, რომ წინ ექიმს არ შევფეთებოდი.

— იმე! ექიმს რაღა უნდა აქ?

— ექიმი, ძმაო, აუცილებელია. როცა რომელიმე მოსამსახურეს მეტი მუშაობისაგან გული შეუწუხდება—მოაბრუნებს.

ექიმი კი მეტათ გაჯავრებული რკინის გზაზე მომხთარ უთანხმოებით უთვალთვალებდა: აბა რომელი დაანებებს თავს მუშაობასო. როგორც ვინმე თავს ასწევდა, გამოიყვანდა შუაში და დაუწყებდა თავის ისტორიას:

— მე იმაზე მომდის გული, რომ ბილეთი არ მომცა. უნდა ორმაგი ფასი გადაეხთევინებია. უთუოდ პასუხი უნდა მოვთხოვო. გვარი მითხრეს კი: გოგია, თბილისის მატარებელზეა რევიზორათ. არა, რომ გაიგო გვარდიის ექიმიაო, მერე მოიკაკვა. მაშ უბრალო მოქალაქე უნდა დაახრჩონ არა?

მსხვერპლი უსმენდა, უსმენდა ექიმს და, შეატყობდა რა, რომ დღეს აღარ გაათავებს საუბარსო—გაეპარებოდა მაგიდისკენ.

მე კი ვუცქერდი ამ გმირულ, თავგანწირულ მუშაობას და გულში ვამბობდი:

— ვაშა, ვაშა, ბიჭებო!

— 27 საათს, ძმაო, 27 საათს ვმუშაობთ—წამოიძახა ისევ ისაკიმ.

— ნამუშევარი კი არსად სჩანს და ჩუმათ ჩაილაპარაკა ერთმა გვარდიელმა.

— აბა ეს რა არისო, მიაყვირა ისაკიმ და მთელი გროვა ქაღალდები თავზე გადააყარა.

გრ. სლუჩაინი.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲚᲘᲡ ᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ.

„Отъ имени армянской коммунистической партіи выступилъ Вартановъ, въ яркихъ краскахъ обрисовавшій историческое прошлое Арменіи, вѣчно угнетенной. Выступившій послѣднимъ М. С. Кировъ между прочимъ сказалъ: „Ни англійскіе медикаменты, ни американскій хлѣбъ не могли спасти гибнущую Армению, которая только теперь, войдя в честную семью III Интернаціонала, стала на правильный путь и нашла выходъ“.

Изъ бюллет. Бюро печати при Полномоч. Предст. Р. С. Ф. С. Р. въ Грузіи.



ᲒᲐᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲛᲘᲡᲣᲠᲐᲕ...

ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡ ᲠᲣᲡᲘᲐ, ᲛᲘᲡᲨᲘᲜᲐᲡ ᲗᲘᲗᲡᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲥᲕᲐ ᲡᲣᲚᲘ.

რუსი და თათარი წაიკიდნენ; არამი მათ შუაში მოჭყვა და კინადამ გაიჭყლიტა.

მრავალ ტანჯულ არამს დაეხმარა ამერიკა წამლებით და თეთრი ბურით, სიშორის და ცუდი გზების გამო ვიდსონი ოჯახებული გახდა ბოლოს ნიკოიერი დახმარებს მორალურათ შეეცვალა.

მრავალ-ტანჯულმა მშიერ-მწყურვალმა არამმა, როგორც იყო, მიაგნო მეუდრო თავშესაფარს და საბჭოთა სახელმწიფოების ტბილ ოჯახში შეეიდა. აქ მას საუცხოოთ გაშლილი სუფრა დაუხვდა.



არამიც მიუჯდა სუფრას. ძღივს თავისუფლად ამოისუნთქა. ვნახოთ, უცებ, ნარკომ სოფნარხოზოვიჩთან. ტბილი მუსაიფის დროს მეორე გვერდით მჯდომმა ბატარა ცელქმა ქმალმა გვერდში ბებუთი უჩხვლიტა. არამმა ერთი საშინლად დაიუვირა, მაგრამ, მასხვინძელს რომ არ სწყენოდა, თავს ძალა დატანა და ზრდილობისათვის გაიდიმა კიდეც.

სადილი რომ გათავდა, არამმა ბებუთი გვერდიდან ამოიძრო, მაგრამ იმდენი სისხლი დაჭარგოდა, რომ, ვეღარ ატანა და სული განუტევა.

ცელქმა ბავშვებმა საბრალო არსმის გვამი ერთი სისარულით, სტუნაობით და დრიალით მახლობელ ველში გადაათრიეს.

შექანველებულის ლექსები

ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. მომწყინდა კვნესა,
მომწყინდა ვიში, ვაი და გვნეშა,
ისე მომწყურდა სიცილ-ხარხარი,
როგორც ჩემს ბუხარს, საცოდავს შეშა.

—

ხა, ხა, ხა, ხა, ხა... მოკვდა იმედი...
ბერძაღლ ზამთარმა კვლავ გვინახულა,
გადაათეთრა მთა, ტყე და ველი,
ეზო, სახლები, ბეღელი, სულა.

—

სტირს ქალაქელი... ხარობს სოფლელი
და მოაგორებს ურემზე ურემს —
— ჰამოოო! ხოშგლი... დრავა და დრავა.
ეეჰ... ვიყიდდე, მაინც გუდურებს...

—

ისევ ზამთარი... კატას არ ძალუძს
მაშვრალთ ქოხმახში გაითბოს თათი.
მხოლოდ უშრომელთ ფართო ბინებში
ისევ განცხრომა და მასლაათი.

—

იესო ქრისტემ რა ტყუილი სთქვა,
— „ყველა პოვბსო, ვინც კი ეძიებს,“
ბევრმაც იპოვა... იპოვა იმან,
ვინც რომ ეწევა კომბინაციებს.

—

ბევრს, ვის იდეა შორს ეხატოდა,
ნახა, რომ აგერ, — დღეს მიაღწია. —
დაითრო უცებ, თავბრუ დაესხა
იმ-შორ იდეალს გადაარწყია.

—

რა დრო დაგვიდგა?! ბევრმა ჭინჭრაქამ
ცოლად შეირთო დღეს შევარდენი,
მგელი ცხვრებს უვლის, და ბოსტანს ღორი,
კამეჩი ფრინავს, ვირს ყმად ყავს ცხენი.

—

მე თუ მაკლია, ძმობილო ჭკუა,
მასესხე ცოტა, შენ კი გექნება,
კანონი ეძებს თვის შემსრულებლებს,
მოვალეობის მოკვდა შეგნება.

—

ვყოყლოჩინობ და თანაც ვფაფხურობ,
ეხლა სულ სხვა ვარ, თავს არ გიყადრებ,
თუ რომა ვიცი „ჩავაიმასქნი“
რას არ ჩავიდენ, რას არ ვიკადრებ.

—

თუ მაყვედრი ღვაწლს, ჩაგითვლი ვით ანწლს,
ღირსს სხვაც გადიდებს, ნუ აჩქარდები,
გმირმა ეჰხ, სად სთქვა: მოდით, მომართვით,
დაფნის გვინი, ია, ვარდები.

—

კუჭის ტკივილი... მაგიდის მჭადი,
ოცნება პურზე... ჯამაგირებზე...
პირის გატეხა... კვლავ დაპირება,
ისევ უარი დანაპირებზე.

—

ვილაცამ მითხრა: „შენმა ბიჭმაო“,
მძლედ ჩაარტყაო თხას იმან ათი,
მეხორცემ გუშინ გირვანქა ხორცზე
ეჰხ, ამაძრო ოთხასი მანათი.

—

დამფუძნ. კრების წევრი, ქალაქის მოურავი, პირველხარისხოვანი ბოქსერი ბენია ჩხაკვიშვილი.
ვისაც ჭსურს სამეცნიერო კარიერის გაბარება და სტუდენტობაში ჰოპულარობის მოპოება, შეუძლია მიმართოს ბ. ბენიას.

ლაყბობ-მასხრობა სადაც არ უნდა...
„მეგრული თხა“ და თუნდაც „ჯიბგირი“
თავისუფლება ეს არის სიტყვის,
ყველაფერს იტყვის უკლიტო პირი:

—

გასამართლება უსასამართლოდ,—
უხმლო დუელი... ვარ შეუვალი...
ჰაერში მუშტი გაიპრიალებს,
დაზიანდება უეცრად თვალი.

—

აურ-ზაური, ლანძღვა, გინება,
გამტყუნება და თავის მართლება,
დემონსტრაცია... მიდის ფრაქცია,
სიტყვის და საქმის თავისუფლება.

—

ისევ სიცივე... ისევ შიმშილი...
ისევ თოვლი და ისევ ზამთარი...
ვის ჭკუის გოგრა დაუზიანდა,
ვის აერია სულმთლად დავთარი...

—

ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. თლად გამიტაცა
აზრთა არევამ—ჭკუის ჯირითმა...
ახლა კი შევწყვეტ, სჯობია დროზე...
გამეფიცება, ვით ვატყობ რითმა...

—

აურ-ზაური... ტაში, დაირი...
ამბები უცხო ნაირ-ნაირი...
და სხვისი ჰირი-ღობესა ჩხირი...
ისევ დავღონდი,—ისევა ვტირი.

შექანჯალებული.

გაერთიანებული რეაქცია.





იოსებ მაჭავარიანი და შალვა ქარუმიძე.

გუშინ შალვამ იოსებსა უცებ ზურგი შეაქცია,
დღეს კი ხელახლა შეერთდა საქართველოს რეაქცია.
ჭსურთ ასწიონ დაცემული ბრესტოელი, მდარე აქცია.
ხალხი კვლავ ცივ წყალს შეაქცევს, როგორც წინად შეაქცია.

ხორცი.

საბოტაჟი.

ასე გაჯავრებული არასდროს არ მინახავს ბათუმის ქალაქის თავი. პირიდან ცეცხლს ყრიდა. ნინაობაზედაც ძალიან გაჯავრდა, როცა მხატვარ თოიძის შვილი გალახეს, მაგრამ დღეს რაღაც არაჩვეულებრივი სანახავი იყო. მასთან წამ-და-უწუმ შემოდიოდენ მოსამსახურეები მოსახსენებლათ. მაგრამ მათი დალაგებული, საქმის ცოდნით გაჟღენთილი მოხსენებები უარეს გავლენას ახდენდა მოურავზე.

მე ცნობის მოყვარეობამ შემიპყრო. შევძვერი ქალაქის თავის კაბინეტში და მის სავარძელს უკან დავიმალე. მაგიდაზე ახლათ შემუშავებული ნიხრი იდვა.

— გირვანქა ხორცი 100 მან. უჯდებათ, მე კი ნიხრში 150 მან. ჩავუწერე.— ცხარობდა ჩვენი თავი—საბოტაჟი გამომიცხადეს, სრულიად მიანებეს ვაჭრობას თავი. გააკარით ეხლავე ეს ნიხრი— უბრძანა შემოსულ მოსამსახურეს. ვინც გაბედავს ნიხრის გამოშვების გამო ხორცს არ მოიტანს ჩამოერთვას ვაჭრობის უფლება.

ამ ბრძანების შემდეგ ქალაქის თავი დამშვიდდა. ეტყობოდა უკანასკნელი ზომა თვითონ მოეყვანა. თავისებურ მომხიბლველ ღიმილით გამოვიდა კაბინეტიდან და გაეშურა ამხ. კაპ. გოგოლაძისაკენ.

დამპალი ხორცი.

მეორე დღეს ყველა საყასბოები ღია იყო. მაგრამ ყასბები მოხერხებული ხალხი აღმოჩნდა. დაკიდეს დუქანში თითო ნაჭერი დამპალი ხორცი. მოქალაქე ყიდვას კი არა ახლო მისვლასაც ვერ ბედავდა. სამაგიეროთ შეისყიდეს რაც ფრინველოულობა შემოვიდა მაზრაში და შემდეგ ერთი ათად ყიდდენ.

წვენი უხორცოთ.

ამის შედეგი მეორე დღეს გამოირკვა. რესტორან-სასადილოების კარებზე ეწერა: „ხორცის გაძვირების გამო დღეს წვენი უხორცოთ''.

— თუ წვენისთვის ვერ იშოვეთ ხორცი მაშ კატლეტი სულ არ იქნება—ამოიხვნეშა ერთმა ძალზე მშიერმა მოქალაქემ.

— კატლეტს, ბატონო ხორცი რათ უნდა— უპასუხა ლაქიამ—კატლეტს ქართოფილისაგან ვაკეთებთ.

ღია სიკითხი.

— როგორაა, ლევან, საქმე?—კითხა მოურავმა გამგეობის წევრს.

— ცუდათ, ხორცი მაინც არ არის. და ლევანმა აუხსნა მოურავს ყასბების კომბინაცია.

— უნდა როგორმე სხვა გზა გამოვძებნოთ, მოიწვიეთ გამგეობის სხდომა.

და გამგეობის თავითურთ შეუდგა ახალ ზომაზე ფიქრს.

დღესაც ფიქრობს ქალაქის გამგეობ, ახალ ზომის გამონახვაზე, ხოლო ხორცის საკითხი ისევ ღიათ არის და მოქალაქენი უხორცოთ.

გრ. სლუჩაინი

„პატრიოტი''

(გენერალისიმუსის)

ველისციხეს მოევლინა
შვილი ახალ-სოფლელ ღვდლისა;
საქართველოს „ორგულთ" მისგან
ეშინიათ, ვით კრავს მგლისა.

დაშნაკელებს ემტერება,
— (თვით აჰარბებს ვეშაპელსა)
თუ წააწყდა ტერ-სტეფანოვს,
ლორიკით გამოსჭრის ყელსა.

ჯერჯერობით ველისციხის
დაშნაკელებს ებრძვის ცხარეთ.
შიშით, თურმე, ვალარშაკა
ველარ გამოსულა გარეთ.

ტერ-მოსესოვს ხომ სისხლს უშრობს
მოაბეზრა საწყალს თავი,
სულ შხამათ ამოადინა
კოოპერატივის ფლავი.

საქართველოს „ორგულ" შვილსა
ვერ აშინებს ვერაფერი;
„ანტერჩაპე" ტყვედ შეიპყრო
— კომუნისტების „ლიდერი"

ან სამშობლოს ყველა მტრები
მის წინაშე ქედს იხრიან...
თუ დასელთაც თავს არ აცნობს,
მაშ რის „პატრიოტი" ჰქვიან.

და, აჰა, დღეს დასელებსაც
ებრძვის, როგორც ხვადი ლომი.
მოშავალი დაგვანახვებს,
თუ რით გათავდება ომი.

7 ოქტ. 1921 წ. **ჯიბილა**

ქ. გორის სახალხო უნივერსიტეტს

გორი წინათ

დიდი ხანია გორი არსებობს...
დიდი ხანია, რაც ის ქალაქობს;
ინტელიგენტი ან ფუქსავატობს,
ღვინოსა სვამს, ან კარტსა თამაშობს

—

დიდი ხანია, გორი არსებობს
დიდი ხანია გორი ქალაქობს
ჰკითხეთ იმ ციხეს, რითაც გორელი
მუდამ თავს იქებს, მუდამ ამაყობს.

—

გორი მარტო, სცვლის ნაწარმოებსა:
სოფლის ქონებას, ბაზარს უფარდებს,
და ორის მხრიდან შემოტანილი
საქონლით თითონ საზდოს იმზადებს.

—

რათ უნდა იმას: ან ლექციები,
სალამოს სკოლა, წარმოდგენები,
მას ურჩევნიან ცირკი, კლოუნი
იქ დაისვენებს ნაქეიფები.

—

ცოდნის ტაძარი რომელიც გორში
ოთხი წლის წინათ გახსნეს გმირებმა
მუცელს გადაჰყვა უზიარებლად,
ვეღარ უშველეს, მას ექიმებმა.

—

წარმოდგენები სახალხო, გახსოვთ,
სადგურის ახლოს იმართებოდა?..
თურმე ნუ იტყვი: სცენის მოყვარეთ
ჭირი შეჰყრიათ, რიგ, რიგ კვდებოდა.

—

გორი ეხლა!

გორი კვლავ აღსდგა,
გორი განახლდა,
ბრობის სხივი,
ყველგან გადასწვდა.
გამოიღვიძა მძინარე გორმა
და ნაბიჯები წინ, კვლავ გადასდგა.

—

გორი ადუღდა, და ახმაურდა,
კულტურულ საქმეს მოჰკიდა ხელი.
იმას გვერდში ჰყავს გორის ერობა
შუქ მფენ ვარსკლავი, მათი მნათელი.

—

ერობა ანთებს, სინათლის კოცონს,
მაზრაც მის გვერდში შეკრებილია
ყველგანა სწვდება მისი სინათლე
ანათებს იქით საცა ბნელია.

—

კვლავ მოიკრიფა, ძალი და ღონე
მაგრამ წიხლი ჰკრა, ბნელს სამყაროსა
შეანგრია და რა თვალი მოჰკრა
თავისუფალსა საქართველოსა.

—

მაშ მიულოცოთ, გორსა სინათლე
უნივერსტეტის კარის გაღება...
მრავალ ჟამიერ იყოს იმათთან,
ვინც ამ საქმესა წინ გაუძღვება

გიორგი ჯაბაური

ეტო ირუნდა.

— ააა, ვანიჩკა გამარჯობა!

— ზდრავსტვუი დარაგოი...

— როდის ჩამოხვედი კაცო?

— ტოლკო, ჩტო პრიეხალ,..

— სხვა, რა ამბავია ბაქოში? ამბობენ, იქ აჯანყება იყოვო ნუ თუ მართალია ეს?

— ჩტო ტი, ეტო პრავაკაცია! მენშევიკოვ, ეტო ლოჟ...

— ნუ თუ არაფერი არ ყოფილა?

— უვერიაიუ ტებია... არაფერი მაგის მსგავსი... მართალია ადგილობრივ მცხოვრებთა და წითელ ჯარს შორის პატარ-პატარა შეტაკებები მოხდა, დაჭრილ-დახოცილებიც არიან ორივე მხრით, მაგრამ ეტო ირუნდა!..

— სულიერი განწყობილება როგორია ჩვენი ჯარისა, ფრონტიდან გარბიანო, სიმართლეა?

— ნიჩევო პადობნაო... პროვოკაცია ტოჟე... თუმცა წინანდელები თავისთავად წავიდნენ ფრონტიდან, მაგრამ იხ ზამენილი ნოვიმი... ტაკ ჩტო ეტო ტოჟე ირუნდა...

— ისპოლკომის წევრები, თათრები, საქართველოსთან ომის წინააღმდეგი არიანო, მართალია?

— ტოჟე პროვოკაცია... ხატია ესტ ტაკოე ტეჩენიე, ნო ნაში ნასტაივაიუტ, ასე, რომ ტოჟე ირუნდა...

— სურსათ სანოვაგის საქმე როგორღა არის, შიმშილობაა, მართალია?

— ჩტო ტი, ნეუჟელი ვერიშ ტი ეტომუ? პური ჩემო ძმაო, რომელ სახელმწიფოს არ აკლია ახლა, მართალია შაქარი, ბრინჯი, კარტოფილი და კომბოსტო არ იშოვება, პურისაც დიდი ნაკლებობაა, მაგრამ, პო მოჟმუ ეტო ტოჟე ირუნდა.

— საქართველოს ჯარი და გვარდია ჩვენ საზღვრებთან მედგრად სდგასო, მართალია ესეც?

— კაკ ტებე სკაზატ? ნე დუმაიუ... ჰო, თუმცა ცნობა ასეთი გვაქვს: ამბობენ თურმე: ან დავიხოცებით ან ჩვენს საზღვრებში მტერს არ შეშოუშვებთო, თქვენი არა გვინდა რა მხოლოდ ჩვენსას კი უბრძოლველად არას დაგითმობთო... მაგრამ ჩიპუხა... ტოჟე ირუნდა...

— ნეტ გალუბჩიკ... სნიმ შუტიტ ნელზია ყველაფერი შეიძლება აგრე იყოს როგორც ამბობ, მაგრამ ეტო ნე ირუნდა, ი ნე ჩიპუხა...

რალაც ძარცვის კვირა გამოაცხადესო, მაგის შესახებ რას იტყვი?

— დო ჩევო დახოდიტ პოდლოსტ მენშევიკოვ!!! რის ძარცვა, რის კვირა, ეტო ბილო სდელანო ვსიო, პო დეკრეტუ, პო ზაკონუ, შედგენილი იყო სია წინდაწინ ქონებისა და კანონიერის გზით ჩამოერთვა ყველას, და თუ ჯარის კაცებმა ცოტა გადააჭარბეს, პრიჩომ ტუტ ბოლშევიზმ? ასე თუ ისე ეტო ტოჟე ირუნდა...

სხვა შენ რალას იტყვი ახალს, აქ, შიგნით რა ამბავია?

— აქ ცუდათაა საქმე, ისე დაგვფანტეს, როგორც უკრუხო წიწილები...

— მაშ... შიგნით... ვერაფერი ჯერ-ჯერობით ჰა?

— ჯერ-ჯერობით კი არა მგონი სამუდამოდაც...

— და... დელო პლოხოვატო...

— ა ესლი „ვატო“ სნიატ ტაგდა სავსემ პლოხო...

რ. ჯიბილ.

ბათომი

(სცენა პავილიონში)

სტუმარი და მასპინძელი სპეკულიანტები

მასპინ. —აქედგან რომ გავალთ,
ჩემო ნიკო ფრანტო,—
დრო სად გავატაროთ
შე, სპეკულიანტო?

სტუმარ. —„ზოგჯერ თქმით-შავდების
ზოგჯერაც სჯობს თქმაო“
მე შანსონეტკებში
ჩაშწვარი ვარ ძმაო!!
წავიდეთ შანტანში
ოხრათ ვხარჯოთ ფული,
მიყვარს შანსონეტკა,
შეზარხოშებული.

მასპინ. —რომ ზედ მეტი ყლაპვა
შემცირებულიყო,
და პროსტიტუტკებიც
ცოტა ყოფილიყო,
ამიტომ ვაკრობა
ათ საათამდია;
შანტანებს ბათუმში
ბოქლომი ჰკიდია.

სტუმარ. —ეაშ სხვა მოვიფიქროთ
შუბლს მივიდვათ ხელი...

მასპინ. —ჰო, მართლა, კარგია
თეატრი „პელ-მელი“.
ანდა მოიცადე!
მე რა მომაგონდა:
გახსოვს გამყრელიძეს
აქ რომ ცირკი ჰქონდა?—
იმ ცირკში ამ ბოლოს
არვინ დადიოდა,
გამყრელიძეც ჯავრით
უსაზღვროთ სტიროდა.
მაგრამ დღეს მის ცირკში
ჰიდაობს ქალები,
უკეთესს ვერაფერს
ვერ ნახავს თვალები.
თეატრში ვინ წავა
არ იცი შენ განა
დიდი და პატარა
ცირკშია ქვეყანა!!

სტუმარ. —წავიდეთ-წავიდეთ
შენ გენაცვალები,
მიყვარს მე ჰიდილი
მიყვარს მე ქალები.

ისკანდერ.

ვაი ვუის ხაზე

გიგო —გამარჯობა დათო, კაცო ე რა არი,
რომ აღარ გვეშვება წყეული ზამთარი!

დათო —გაგიმარჯოს გიგო, მეც ზამთარზე ვსტირი,
სახლიდან გავრბივარ, როგორც დეზერტირი.

გიგო —ვეღარც „დეიურემ“ ვეღარ მანუგეშა,
თვალით არ მინახავს ამ ზამთარში შეშა.

დათო —მართლა „დეიურე“ ამიხსენი კარგა,
რათ გამოგვადგება, რაში უფრო ვარგა.

გიგო —„დეიურე“ ძმაო მაზალო რამ არი,
მისი მომტანია გვარდია და ჯარი.

დათო —რალაც კარგი არის მეც მოვკარი ყური,
მაგრამ შენ მითხარი, თუ მოგვივა პური.

გიგო —ამბობენ მოგვცემსო თეთრ,პურს, არგენტინა,
მაგრამ მის მოსვლამდი აფერი გეტკინა.

დათო —კაცო რა გახუმრებს, მე არ მეცინება,
ჯავრით მთელი ღამე აღარ მეძინება.

გიგო —ეგ სიძვირე ძმაო ბარემ მეც მაღონებს,
ჰადის საყიდელსაც ვერ ვშოვნილობ ბონებს.

დათო —სანამდი ვიდარდო, სანამდი ვიგლოვო,
მე ქალაქი ძმაო უნდა მივატოვო.

გიგო —კარგა გიფიქრია, მეც მომიდის აზრში,
მოდი გადავსახლდეთ ერთად ყარაიაზში.

დათო —დამიკარი ხელი, ერთად ვხნათ და ვთესოთ,
თოხები მოვპიროთ, ნამგლები გავლესოთ.

გიგო —ჩვენ მოგვივა პური, ცერცვი, ქართობილი,
შევიქნებით ძმაო, ბედით კმაყოფილი.

დათო —მაშ რა მინდა აქა, ლამის ჯავრით გავხმე,
მაგრამ ჩემი ცოლი თუ ვერ დავითანხმე?

კინამო.

ბათუმელი სპეკულიანტი.



—მე მესმის საზღვარ გარეთელთა ქეიფი ეკვასნებში და მეც ბევრი ამაში მათ კიდევ გადავაჭარბო მაგრამ რადაც კამოფენებზე, რომ დადიან და სურათებს ეიდულობენ ეს კი მე არც მესმის და არც შემფერის დამშეულ ქვეყნის ერთ გულს შვიდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეშმაკის მათრახი"

თვეში ღირს 400 მან., ცალკე ნომერი ეკვლგან 100 მან.

ჟურნალში დაიბეჭდება **განცხადებები**

რედაქციაში შეიძლება შეძენა დღემდე გამოსული ნომრების. ყელის მომწერლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, რუსთაველის ბრ. ბ. № 24. ეშმაკის მათრახისათვის. რედაქცია და კანტორა ღია 10—2 საათამდე.

საქართველოს სახელმწიფო რკინის გზის. სტამბა-ლიტოგრაფია